



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს  
საგარეო ურთიერთობების მინისტრის

**ბრძანება** N 2-22

15/01/2018

ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს  
სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო  
კონტროლის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა  
დაცვის კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის  
ეროვნული სააგენტოს:

ა) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა  
(დანართი №1);

ბ) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა (დანართი  
№2);

გ) ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა  
(დანართი №3).

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა  
სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტროსთვის სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიური  
ანგარიშის წარდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული  
პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის,  
ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2017 წლის  
პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მინისტრის 2017 წლის 24 იანვრის N2-14 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

ს. ციციშვილი